


# ებილისი



მე გარ მწყემსი კეთილმან სული თვისი  
და ჭავების ცხოვართა თვის. (იოა. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწუმედული. კერქეთ იყოს სიხარულ,  
ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოგედით ჩემდა უკველნი მაშუალინი და ტვირთ-მმამენი  
და მე განგისვენ თქვენ. (მათ. 11—28).

№ 23—24

1883—1892

1—30 დეკემბერი.


ლეთის მაჟლით და შეწენით ამ წლის დამლექს  
სრულდება ათი წელიწადი, რაც ჩენი თხევანო —  
„მწყემსი“ არ ეგობს. კეშმარიტად შესანიშნავია ჩემთ-  
ვის ეს 1892 წელი. ამ წლის დამლექს ასრულდება  
ჩემი ცხოვრების 50 წ., ამ წლის დამლექს სრულდება  
ჩემი შლვდლად და ბლალ ჩინად მსახურების 25 წე-  
ლიწადი, ამ წლის დამლექს სრულდება 25 წელი-  
წადი დღიდგან ჩემი ქორწინებისა. პირველად ემად-  
ლობთ უფალსა, რომელმანც ლირს-გვერ ჩენ ამო-  
დენი ხნის ცხოვრებისა და სამსახურისა, მეორედ გუ-  
ლითად მადლობას ესწირავთ საზოვალებას, რომე-  
ლიც ჩენ თანაგვივრძობდა და თავანი თანაგრძო-  
ბით ხელს გვიწყობდა ამ ჩენი შძიმე მოვალეობის  
აღსრულების საქმეში. მიღლობას სწირავთ იმ მცირე  
რიცხეს ჩენ თანამშრომელთაცა, რომელნიც, შეძლე-

ბისა-დაგვრად, მანაშილეობას იღებდნენ და ჩენთან  
ერთად იღეწოდნენ მწერლობის ასპარეზედ.

დღევანდელი დღე ისეთი წამია ჩემს სიცოცხ-  
ლეში, რომ არ შემიძლია არ წარმოვსთქვა მცითხ-  
ელთა წინაშე ის გრძნობანი და აზრი, რომელნიც  
სწორ ედ გარდამეტებით აღავსებენ ჩემს გულსა და  
გორგებას.

სიყრმიდგან ჩემი ერთად ერთი სურვილი, წა-  
დილი და თხოვნა ლეთისადმი ის იყო, რომ მას მო-  
ენიჭება ჩემთვის სიცოცხლე მის საფიცებელად, პშო-  
ბელთა სასუგეშოდ და ეკალებისა და მამულისა სა-  
სარგებლოდ. ყველა ჩემი კეთილი თხოვნა და ვედ-  
რება ლეთისაგან, თითქმის, უკლებლად აღმისრულ-  
და.

ჩემი ცხოვრება სასწავლებელში შესვლილდა დაწ-  
ყებული ვიდრე 25 წლამდე იყო ნრადაგი მისწრაფება  
სწავლისა და მეცნიერებისადმი. 25 წლიდამ დაწყე-  
ბილი არის მეცნიერების მარტინ და ასე დასახული არის მეცნიერების მარტინი.



ბული დღემდის ცხოვრება ჩემი არის დაუღალავი და ნიადაგი ბრძოლა ამ ამაო წუთი-ხოფლის უკუღმართობასთან და ჭეშმარიტებისა, სიმართლისა და კეთილ-ზნეობის წინაშე ეკლიანი გზას კავეა.

ვალეიარებ, რომ, ჭეშმარიტად, ღმერთი მიფარავდა ყოვლისა ბოროტისა, მოშურნეთა, ცილის-მწამებელთა და მშაკვარ კაცთაგან.. .

ვესავთ უფალსა, რომ იგი არ მომაკლებს თვისისა საფარველსა ჩემი სიცოცხლის დანაშთენ მცირე დღეთა შინაცა.. .

ნეტარ არს კაცი, რომელიც მოესწრო და თვალით იხილა ნაყოფი თვისი შრომისა და მოღვაწეობისა. ტკბილია ეს წამი. მაშვრალი მუშაკი სრულიად იყიწყებს ყოველივე სიმწარეს წარსულთა დღეთა. ჭეშმარიტად მძიმე იყო უღელი ჩემი, მავრამ მის ქვეშე არასოდეს ქედი არ მომიღრეკია არაეითარს გაჭირების დროს. და როდესაც საჭიროებას მოუთხოვნია, არ დამიზოგავს მისთვის არც გონება, არც ქონება და არც სიცოცხლე. მაგრამ ამ ჩემ მწარე შრომას სიტყბოც თან ახლდა და ეს სიტყბო მდგომარეობდა იმაში, რომ ჩემნგან აღებული ტყირთი საკეთილო იყო საზოგადოებისათვის.

ათი წლის შრომამ და გამოცდილებამ აშკარად დამარწმუნა, რომ ჭეშმარიტება ისეთი საგანი ყოფილა, რომელსაც არა ყველანი ხედვენ, ვისაც თვალი ასხიან ხედვად და არა ყველანი ისმენენ, ვისაც ყურნი ახიან შენად. აი ათი წელიწადია, რაც ამ ჭეშმარიტებაზედ ეღალადებ და მასზე უთი-თებ ყველას,—და ზოგიერთებმა მხოლოდ გუშინ, თუ გუშინ-წინ აღიხილნეს თვალი თვისინი, იხილეს იგი და აღეიარეს, როდესაც დღემდის, პირადის ანგარიშებით თვალ ახვეულნი, სულ სხვას ამბობდნენ. მაღლობა ღმერთსა, მართლია გეიან მოხდა ეს, მაგრამ ხომ მოხდა შაინც! სიმართლე არასოდეს არ დაიმალება და არც სამუღამოდ დაითრუნება უა-მართლობისაგან.

დღეს სრულებით აღარ ესთვლით საჭიროდ მკითხველთათვის ერცელ საუბარს ეურნალ-გაზეთების სარგებლობაზედ, რადგან, მაღლობა ღმერთსა, ეს საგანი დღეს თითქმის ყველას შეგნებული აქვს.

მართალია, საზოგადოებაში, ყოველთვის ყოფილან და დღესაც არიან აქ-იქ გონებით კოჭლნი და ზნეობით უკუღმართნი, მაგრამ რიცხვი მათი მცირეა და მათი უკუღმართობა ვერასოდეს ვერ შეაფერხებს კაცობრითობის წინ-შავლელობას და განვითარებას და ვერასოდეს ვერ დახშავს სიმართლეს. რადესაც მრავალი პირი ერთად ეწვევან რაიმე მძიმე ტყირთსა, მათშა უმეტესობა უღელს ეწევა და ტყირთი მიაქვთ, დანარჩენი მცირენი კი უშრომლად უკან მინანჩალებენ და ძალა-უნებურად მიადევნონ მუშაკთა. ესევ შენიშნულია ყოველივე საზოგადო საქმეში.

ნუ მიეაქციეთ ყურადღებას ნურც იმ ღრმა მასუცებულთა, რომელთაც ამა ქვეყნისა აღარა ეხალისებათ რა, ნუ მიეაქციეთ ყურადღებას ნურც მათ, რომელნიც მთლად კუჭის მოთხოვნილებას დამატებიან, ხოლო გონების მოთხოვნილება სრულებით დაუტმავთ, ნუ მიეაქციეთ ყურადღებას ნურც იმ ფარისეველთა, რომელთაც თავის თავი დიდ ფილო-სოფოსებად და სწავლულებად მოაქვთ და არა თუ ებმარებიან საზოგადო კეთალი საქმის აღარულებაში თავიანთ მოძებოთ და მოყვასთა, არამედ ყავლის მხრით საფრხეს უგებენ და მათი ხელის შეშლას ლამობენ. ვესავთ უფალსა, რომ ყოველი მომხის და მოყვისის მოშურნე და მოღალატე თვითონვე ვარდება იმ თხრემლში, რომელსაც იგი უთხრიდა და უმზადებდა თავის მოყვისს.

წეული და შეჩერებული იყოს ღეთასაკან ჩეენ შორის ყოველი ბოროტება, მაღალატება და ამ სამარცხეონ საქმეთა ჩამდენი. შერცხეული იყოს მწერალი, რომელიც აღჭურვილია პირადი ანგარიშებით და არა სარწმუნოებისა, კეთილ-ზნეობისა, მამულისა, მოძმეთა და მოყვასთა დაცურასთვის.

გაუმარჯოს ჩეენში ღმერთმა ერთობას, ძმობას სიყვარულს და სიმართლეს!

შევსწიროთ დიდება მაღალთა შინა ღმერთსა და ვისურვოთ ქვეყანასა ზედა მშეიღობა და კაცთა შორის სათნოება.

დეკ. დ. ღამებშიძე.

## საქართველოს ექსარხოს ეკვიპური.

საქართველოს ახალი ექსარხოსი მთავარ-ეპისკოპოსი ვლადიმირი სწორედ მეათე ექსარ-ხოსია, რაც საქართველოში ექსარხოსაც ინიშ-ნება. საქართველოს 1-ლ ექსარხოსად იურ და-ნიშნული ვარღამი (თავაზი ერისთავი) 1811 წ. ჯლევანდელი ქართლის ეპარქია მაშინ განიუ-ფებოდა 2 ეპარქიად: მცხეთა-ქართლისა და კა-ხეთის ეპარქიებად. მთავარ-ეპისკოპოსი ვარღამი ექსარხოსობდა 1811 წლიდამ 1818 წლადმდე და ამ უკანასკნელ წელში კი რუსეთში მიიწვიეს. ვარ-ღამის შემდეგ დაინიშნა ექსარხოსად თეოტი-ლიაზე (რუსანოვი, რომელიც ექსარხოსობდა სულ 4 წელიწადი). თეოტილიაზე 1821 წელში გარდაიცვალა და მის შემდეგ დაინიშნა იონა, გვარად ვასილიევსკი. იონა ექსარხოსობდა 11 წ. და მეთერთმეტე წელიწადს გარდაუვანილ იქმნა საქართველოდამ რუსეთში. 1832 წ. დაინიშნა ექსარხოსად მოსე, გვარად ბოლდინოვი და ორ წელიწადს დარჩა ექსარხოსად. 1834 წელში იგიც გარდაუვანილ იქმნა რუსეთში. 1834 წლი-დამ საქართველოში იურ ექსარხოსად დაინიშნუ-ლი ევგენი, გვარად ბაჟენოვი და დარჩა ექსარ-ხოსად 1844 წლადმდე. იგი ექსარხოსობდა 10 წელიწადი. შემდეგ ევგენისა დაინიშნა ისიდორე, რომელიც დარჩა საქართველოში ექსარხოსად 14 წელიწადი, 1858 წლადმდე. ისიდორემ სა-ქართველოშივე მიიღო მიტროპოლიტობა და აქიდან გარდაუვანილ იქმნა კიევის სამიტროპო-ლიოტი კათედრაზე. ისიდორეს შემდეგ 1858 წ. საქართველოს ექსარხოსად დაინიშნა მთავარ-ეპისკოპოსი ევსევი, რომელიც ექსარხოსობდა 20 წელიწადი ე. ი. 1878 წლადმდე. ამ წელში გრძელდა ევსევის ეპარქიაში. 1878 წ. საქართველოს ექსარხოსად დაინიშნა მთავარ-ეპისკოპოსი ნიკეგორიონდისა იოანნიკე, რომელიც 1882 წელში გარდაუვანილ იქმნა მიტროპო-ლიოტად მოსკოვში. 1882 წელში საქართველოს ექსარხოსად დაინიშნულ იქმნა კიშინევის მთავარ-ეპისკოპოსი პავლე, რომელიც 1887 წელში გარდაუვანილ იქმნა ყაზანში. 1887 წ. საქართვე-ლოს ექსარხოსად დაინიშნა ყაზანის მთავარ-

ეპისკოპოსი პალლადი, რომელიც ამ მიმდინა-რე წელში გარდაუვანილ იქმნა პეტერბურგის სამიტროპოლიტო კათედრაზედ. ამ წლის ოქ-ტომბრის თვეში საქართველოს ექსარხოსად და-ინიშნა სამარის ეპისკოპოსი ვლადიმირი, რო-მელიცაც დანიშვნისათანავე ებობა მთავარ-ეპის-კოპოსობა.

ამ ზემოთქმულიდამ სჩანს, რომ საქართველოს საექსარხოსო კათედრაზედ 1811 წლიდამ და-ნიშნულა ათი სხვა-და-სხვა ექსარხოსი ტ მეათე ექსარხოსად ბრძანდება დღეს მთავარ-ეპისკო-პოსი ვლადიმირი. ლმერთმა კეთილი ქმნას მისი დანიშნა საქართველოს ეკალესისათვის. ვერცინ იტევის, რომ საქართველოს ეკალესის ქრისტეს უანაში სამუშევარი აღარა იყოს. რა ამისთვის ახალ ექსარხოსებს დიდი შრომა და გამჭრია-ხობა არ მოელოდეს. ვინც საქმეს სწორედ და მიუდგომლად უურებს, ვისაც ჩვენი ეკალესის მდგომარეობა გამოიყვალება, ის ყოველთვის დაგვეთანხმება, რომ საქართველოს ქრისტეს უანაში დიდი შრომა მოეტის მწყემსთ-მთავართა და მწყემსთა.

მართალია ერთადელი საქართველოს მწყე-მსთა და სამწყსოთა კონტინტი, ზნეობითი ტ ნივთიერი მდგომარეობა ძლიერ განსხვავდება პირველი ექსარხოსების დროის მწყემსთა და სამწყსოთა მდგომარეობისაგან. მართალია, ბევრ-ში ძლიერ წინ წავიწიეთ, მაგრამ არ უნდა და-ვივიწეო, რომ ბევრშიაც უკან ჩამოვრჩით და დავიქვეითეთ. ფარისევლურმა ცომმა ძლიერ დამეჯვა ჩვენი ესტონიანდელი საზოგადოების ცხოვ-რება. ადვილად ივიწყება ჭეშმარიტებას და ქრისტიანული ზნეობის და ცხოვრების სახარე-ბის კანონებს.

უველა მწყემსნი მოვალეონი ვართ ნათ-ლად დავანახოთ საქმე მათ, ვინც მონდო-მილია საქმის გაკეთებას. უველანი უნდა ვეცა-დოთ, რომ ჩვენში დაარსდეს ქრისტიანული სიუბარული, ერთობა და მური კავშირი; წინა-აღმდევ შემთხვევაში ფუჭი იქნება ჩვენი შრომა და არ მოიტანს არავითარს სარგებლობას. იქ,

სადაც წრთული ქრისტიანული სიუგარული არ არის, იქ. სადაც ერთობრივი ქრისტიანული ძმობა და დამოკიდებულება არ არის, ნიადაკ უწვევ აღმოცენებულა ლვარძლი, დათესილი ეშმაკთაგან ქრისტეს ყანაში, და შეუშთვია კეთილი ნაყოფი. გულით და სულით ვისურვებთ საქართველოს ახალი ექსარხოსის დღეგრძელებას სასარგებლოდ და სანუგეშოდ საქართველოს ეკკლესიისა, უცელანი ვევედრებით და მის სამობელისა, რომლის წილ ხდომილ ქვეუანაში განცემამ მანიჭა მას მსახურება, მფარველი და შემწე იუს მისი უფლება გზათა შინა.

ეკ. დ. ლამბაშიძე.

## ჩენი ნასწავლი ახალთობის გულციობის და უგზო-უკვლიობის გამო.\*)

ერთი საჭირო-ბოროტო საგანი ჩენის დროისა ის სამწუხარო და ვაგლახი გარემოებაა, რომ არა მცირედი ნაწილი ჩენის ახალგაზრდობისა ერთობ გულციო და გულ-გრილია სამშობლისა და მისს საზოგადოებურ საქმეების მიმართ. დალან ეს გზა-დაკარგული ახალ-გაზუანი, ეს სამშობლოს საუკეთესო მერმისის იმედი, ჩენის ქეყნის ნიადაგზედ ისევე უგრძობლად, აულელვებლად, თითქა დასეირნობდნენ ცეილონის კუნძულზედ, ან ინდოეთის ტყეში ნაირობდნენ სპილოზედ. არც ის იფიქროთ, ვითომ ეს ახალგაზდანი ანგარებასა და ოქრო-ვერცხლის თაყვანებას გაეტაცნოს და იმიტომ ალარ ეცალოთ საზოგადოებისთვის. არა, უფროს ერთს მათვანს გროში ენატრება თვალშედ მიირას. სპეციალური საგანი მათი არის ტრფობა-არშიკობა ქალებისა, ბრძოლა შუალამების «ძას ველსა მწვანესა ზედა», ნადირობა და... მეტიც, ვგონებთ, არაფერი.

ეისგან შესდგება ეს რაზმი გზა დაკარგულთა და ფუქსავარ კაბუჟთა? ესნი არიან უფროს ერთს შემთხვევაში პირმშო ძენი შეძლებულის დედ-მამისა, სათუთად და ნებირად გაზღილნი; მშობელთა აზრით, ის ყრმანი, რომელნიც ბოლოს ხელის-ხელ საგოგ-მანებელნი ვაჟაცნი უნდა დადგნენ. დედ-მამა არას

\*) გაზე 『ივერია』-ში ჩენ წავიკითხეთ ეს ფრიად საურადები წერილი, რომელსაც ღიძის სიამოგნებით გაძლიერ ადგილს ჩენს გამოცემას. ამ კითხვისა და საგნის შესახებ ჩენც ბევრი რამ დაგვწერია, მაგრამ ეს საგანი იმდენ მასალას იძლევა, თითქმის, უოველ დღე, რომ ერთი და ორი წერილით კი არა, ათი და ცოდნაც მოთავს არ გამოიკვლევა.

რედ.

ზოგაეს: მომავალი სამარცხენო გმიზი ასრულებს საშუალო საწავლებელს, მერე უმღლესს, გამოდის ცხოვრებაში... და ხელში გრჩებათ, საუკეთესო შეილის მაგიერ, ფუქსავარი და ჩიტო-რევია ახალგაზდა, რომელიც თავის სიცოცხლით საესე სიჭაბუკეს ქალალის თამაშობასა და ნაღირობაში ატარებს.

უყურებთ ასეთ გადაგვარებულთ და გულ-დალული აპბობთ: აფსუს ფულო, თქვენზედ დახარჯულო, აფსუს სასწავლებელნო, თარატნო და წიგნებო, თქვენთვის მომცდარნო!

ეს საზოგადოებისთვის 『არარაობანი』, იქნება მშობლებისთვის არიან ძეირფასნი? იქნება თავიანთ ძალ-ლონებს ხმარობენ მისთვის, რომ მოხუც მშობლებს აამონ? თქვენც არ მომიკვდეთ, ეს დიზი შეცდომა! და ამას არა ერთი და ორი მშობელი შეგვამოშებს. არა ერთი და ორი დედ-მამა შემოგზივლებთ: ვასწავლეთ შეილებს და ხელიდან წაგივიღია; ნეტავი არც გვესწავლებონა და არც გვეზრუნა, შინ მაინც გვეყოლებოდა ჩენ თეალ-წინ და, ავი იყო თუ კარგი, ჩენი მაინც იქნებოდა; თორემ ეხლა გადაიკარგა, ბატონო, ვარშვაში (თუ სხვაგან, სულ ერთია); აგრე ათი წიგნი მივწერეთ და პასუხის ლიჩანიც არ გაგვხადაო. ჩენ დღეს თუ ხელ სამარეში ჩავალთ და ის დალოცვილი-კი არა კითხულობს: ვართ-და ცოცხალი, მამული რამ გვაქვს, ვალი, ნალდი, ვალჩი, ერთის სიტყვით, აილო ხელი ჩენზედაო. და ჩენ დაეუმატებთ: აილო ხელი არა მარტო თქვენზედ, თქვენს საუცარელს სამშობლოზედაც, რაიცა უფრო ძნელია! ქართველი და მისი ბედი იმას ჩალადაც არ მიაჩნია?

რითი აიხსნება ასეთი სამწუხარო და სავალალო გარემოება? ამ საგანს, ვგონეთ, ჯერ ჩენში არავინ შეხებია და, თუნდა თქმულიყოს კადეც რამ, ეს ისეთი წყლულია, რომ მის გამოსარწყავად ბევრი და ბევრი თქმა და ნესტარი დაგვჭირდება.

მით უმეტეს უნდა მოისმინოს ჩენებურმა მშობელმა ეს სიტყვა, რომ იგი შეეხება მისს კერძო, პირად სარგებლობასაც. ესთქათ, არიან ისეთნი მასინჯნი არსებანი, რომელთაგვის სამშობლო 『მეწყერსაც წაულიაო』, მაგრამ თითონაც რომ ჰეკარგვენ შეილებს, თითონაც რომ ვეღარა შეუსმენიათ-რა გადაგვარებულის შეილებისათვის? აი ამიტომ მოგახსენებთ, რომ ჩენ მიერ აღნიშნული სენი—ორთავა გველებაშია: ცალ-მხრივ თუ სამშობლო ქვეყანას

სიცდილს უქადის, მეორეს მხრივ უფრო აღრე მშგბ-ლებს უმოკლებს დღეს წუთის-სოფლის ცაჯურები-სას.

თუმცა მართალია, რომ ყოველს ჩვენგანს უ-თავრესი თვისებანი ხსიათის და ზნს ავტორიანო-ბისა შთამომაცელობით გვაქვს დაყოლილი, მაგრამ უფრო მართალია ის, რომ თანდაურლილი ნიშიერება შეიცვლება, ხშირად ძარეულად ხოლმე, აღზრდის წყალობით. ავაზენი და კაცის მკვლელნიკი არ იძალებიან, არამედ აღზრდისა და ცაჯურების ზე-გავლენით შექმნებიან ხოლმე.

ი სწორედ ჩვენც აქ უნდა ვეძიოთ საბუთები აღნიშნულის გარემოებისა. უნდა დავაკურდეთ და ესტათ, რა თვისების ეთარებანი გადააგვარებენ ხოლმე კაცის ცა ნაირად, რომ არც მშობელი ქვეყნა ახ-სოდეს, არც მშობლით ლოტერატურა ახრებს და სა-კუთარი მშობლებიც-კი აღარ ეპიტნავება.

ნუ მეტყვით, რომ აქ მთლად და სავაჭროთ სკოლა არის დამნაშავეო, რომ სკოლაში არ უღიძებენ სიყ-ვარულს სამშობლო ქვეყნისას და მის საუკეთესო შეილებისას. რასაკირველია, ასეთს მოხაზრებას დიდი და მჭიდრო კაშირი აქეს სიმართლესთან; გარნა სრუ-ლი სიმართლე და ქვეშმარიტება კი არ არის. ყოველი ჩვენთაგანი არ არის მოკლებული სკოლის ასეთს გაელენას, მაგრამ უფროს ერთს ჩვენთაგანსვე კარი ყოველისავე მშობლიურის სიყვარულისა არა აქეს დახშული. გარდა ამისა მაგვარ მიზეზების თავიდამ აცილება ჩვენ ხელთ არ არის და ამიტომ ამ ფაქტ თავი უნდა ვანებოთ.

არა, დავანებოთ სკოლას თავი და მიზეზები ან-ლო, შინაურობაშივე მოვსებებით.

შენიშნულია, რომ ბაეშვის სული ერთობ მეტნო-ბირე და მოგადონებთ ტერმომეტრს, რომელიც მკი-რეოლენ ცვლილებას აფთოსფერისას მსწრაფლ იჩნევს და ჰინიშნავს. ასეთოვე ბაეშვიც. ავი და კარგი მსწრაფლ ალინიშვნის მრს სულში და ხშირად ისეთს ღრმა ფეხებს იკეთებს, რომ მისი დაღი სამუზამოდ ჩაიგა. ტურლად არ ამბობენ გერმანელი პედაგოგები, რომ ბაეშვის სული სუფთა დაფარო და აღზრდელები, რასაც მოისურვებენ, იმას დასწერენ ზეჯაო. დიალაც, დასწერეთ იმაზედ სიყვარული დედ-მამია, ნათესავე-ბისა, სამშობლო ერისა, ხოჯლისა, სამშობლო ქვეყ-ნისა, მის სახელოვან გმირთა და ეს ნაშერი გაფიქ-ცევა თესლად, რომელიც შემდეგში აოულობით ნა-კუთხს გამოილებს.

სურათი მომავლისა ძირეულად შეიცვლება, რო-დესაც ამ სუვთა ფიცარზედ არ იწერება არაფერი ისეთი, რაც-კი სამშობლოს სიყვარულს მოგაცონებთ.

ზეკითაც მოგახსენეთ, რომ საძწებარო რაზმი ვულ-გაცივებულ და გაფუქსებატებულ ახალგაზდათა იკრიბება იმათ შორის, რომელთაც გარემოება ხელს უმართავდა უკეთესის მომავლისათვის. ესენი უფრო ერთს შემთხვევაში არიან შეძლებულის დედ-მამის შეილნი. მშობლები არ ეროდებიან ხაჯვს, რომ საუ-კეთესო შეიღები აღზარდონ და... ბოლოს ასეთი უნუკეშება აჩებათ ხელს.

ამა კიდეც ეს არის საძწებარო. ცხადად სხანს, რომ მათის შეიღების აღზრდა რომელსამე სიყვარულე-ზე აშენებული. ასევე არის.

ნორმალურად აღზრდილის კაცის სიყვარული ანუ სიმატია, იმ თავით ამ თავამდე, ენის ამოდგმი-დამ დღემდე, ასეთს საგულისხმიერო კიბე წარმო-დგენს. ჯერ არის და შეიყვარებს კაცი დედ-მამას, პაპა-ბებისა, და ქათ, მერე ახლო ნათესავებს, მერე სოფელს, საღაც შობილა, მერე მაზრას, მერე სამშო-ბლოს და ბოლოს საზოგადოდ, კაციბრიობას. რითო არსენება ეს უტყუარი პსიხოლოგიური მოვლენა? ჩვენ აქ ცხადად ვხედავთ, რომ კაცს იგი უყერს, ვინც და რაც მაზედ ახლოა, მაშასადამე ეს სიახლოვე დამო-კიდებულობისა კაცთა შორის არის მთავარი მიზეზი, რომელიც ჰქმის იმ თავითე სიყვარულს. სიყვარუ-ლი გრძნობაა, რმისი ბუდე გულია. თუ გული ცივია, თუ ერთი და ერთი იქ სიყვარულმა ფეხი ვერ მოი-კიდა, მერე გონებით მას ვეღარ შექმნით. და, აკი მოგახსენეთ, ამ წმინდა გრძნობამ ზემოდ აღნიშნული კიბე უნდა ითაროს. ამ კიბეზედ არც ნახტომი შეიძ-ლება, და კიბეც ისეთია და მითი გაიჩიება მართა-ლის კიბისაგან, რომ არც გადმოტრიბლებას სჯერ-დება. შეუძლებელია შეეიყვაროთ ჯერ ქვეყანა, მე-რე სამშობლო, მერე ჩვენი სოფელი, მერე ნათე-სავები და მშობლოდ ბოლოს დედ-მამა. ნორმალური, ჯერისამებრ აღზრდილი კაცი ის გამოდის, ვინც ამ კიბეს აივლის.

ჩვენი მშობლები-კი რას სჩაღინ? უკუსურს ბავშვებ ჯერ მიაბარებენ რუსთა ოჯახში: ენა ისწავლოს, გაი-ცეხინოს და მერე უკრავენ თავს პანიონში. ამას წინად ხომ 8—9 წლის ბაეშვებ პირდაპირ პეტერ-ბურგსა და ვარინევში ჰკვანიდნენ. რა თქმა უნდა, რომ მალე სწერება ყოველი კაშირი ბავშვები და დედ-მამასა, ნათესავებსა და მშობელ სოფელს შეა-

რალა ოქთა უნდა აგრეთვე, რომ ბავშვი, რაც უნდა კარგ გარემოებაში იყოს, მოკლებულია მშობელთა ტექნიკის და ნაზს სიკეარულს, ნათესავთა თანაგრძონ-ბას. ბავშვის გონიერა იქნება დიდი წარმატებაშიაც შედის, მაგრამ გული-კი... გული, — ეს მთავრი ღრმის კაცობრიობის ავ-კარგიანობისა, ცვი, გაყინული რჩება. ის არც-კი უყვართ, მხოლოდ გულმოდგრენელ ასწავლიან... და, ნულარის უქაცრავად მშობლებთან, რომ მათმა შეილმაც ისწავლა და მშობლების სიკეარული-კი ჩალად ულირს. აკი მოგახსენეთ, ნორჩი ყრმა, — ეს ნაზს ყვავილი, — არ უნდა მოსწყვიტოთ ადრე, არ უნდა მოაშოროთ ადრე და მალე საშობლო ნიადაგს, თორებ პოლოს ბეერს რნანებთ და გვიან-და იქნება.

ეს ერთი მიზეზია. მეორე, ამასთანავე დაკავშირებული გახლავთ ენა.

რომელიაც გამოჩენილმა მწერალმა სთქა: წა-ართვით ერს ენა და იგი ერი მოკედებათ. ჩვენ ვიტ-ყეით: წაართვით კაცს ენა და იგი კაცს მოკედება. ეს იგი, ის მკვდარი იქნება იმ ერისათვის, რომლის ენაც წაართვით.

და მერე ჩვენი მშობლები არა სულილენ, რომ მათმა შეილებმა ქართული ნაკლებად იცოდ-ნენ და, თუ შესაძლებელია, სრულიადაც არ ცოდ-ნენ?! საბრალოებს ჰერიათ, რომ ვინც ქართულს დაივიწყებს, ის რუსულს ან ფრანგულს უკეთესად ისწავლისო! რა დიდი და მიუტევებელი შეცდომაა!

ენა არის უზადესი სამკიცრო, ჩვენ თა მამა-პა-პათაგან გარდმოცემული; ენაში, როგორც სარკეში, სჩანს სიხარული და მწუხარება ჩვენთა წინაპართა 2000 წლის მანძილზედ გამოვლილი; ენა არის უტ-ყუარი ხილი სიკეარულისა კაცა და მისს ერსა და სიმშობლოს შეუა; ენა, ბავშვისთვის. შეთვისეული, მდიდარი სამშობლო ენა, აყვარებს კაცს მშობლებ-საც, ნათესავებსაც, თვისსაცა და ტომსაც. და ამ ხილს ატერევენ ჩვენი მშობლები და აკი სამწუხარო ნა-უკოფსაც იმკან!

არა, ჩვენ სივაგლახეს სხვას ნუ მოგახვევთ თაგა. ჩვენ საქმარი-ი დრო გვაქვს, რომ ჩვენ შევლებს სამშობლო ენა ვასწავლოთ და შევაყვაროთ. იმას გარდა, რომ სკოლის ასაკამდე ბავშვი ჩვენ ხელშა, მერეც, ყოველ წელს, 3 და 4 თოვე ბავშვი მოც-ლილია სამშობლო ენის შესასწავლად. მაგრამ, ასე აკი მოგახსენებთ, ჩვენ განვებ არ ვასწავლით სამშო-

ბლო ენას და მით ყელსა ვსჭრით ჩვენისავე ხელით ჩვენს შეილებს.

აი, ჩვენის აზრით, ის ორი უმთავრესი მზეზი, რომელიც ჰბადეს ჩვენში ზემოდ აღნიშნულს ფუქ-სავატ ახალგაზდობას.

### იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა კრება ქ. ქუთაისში.

როგორც ჩვენვა მკითხველებმა უწყიან, იმერე-თის სამღვდელოების დეპუტატებს კრება ჰქონდათ ქ. ქუთაისში ნოემბრის თთვის 25, 26 და 27 რიც-ხვებში. ეს კრება შე-XXXI-ა სამღვდელოების დეპუ-ტატთა კრების დაწყებიდამ. 25 ნოემბერს შეიკრიბა საკმაო რიცხვი დეპუტატებისა კრების გასახსნელად. სალამოს 6 საათზედ დეპუტატები შეიკრიბენ სასწავ-ლებლის ერთ ოთახში. დეკ. უაგერეიშვილმა შეად-გინა სია დეპუტატებისა და გამოუხადა დეპუტატებს, რომ თავსმჯდომარე აერჩიათ და საქმეს შესდგომოდ-ნენ. მოიტანეს კრების საყრელი კოლოფი. საზოგა-დოდ შენიშვნულია, რომ სამღვდელოების კრების ზედ თავსმჯდომარების სურვილი ბევრის გულში ტრია-ლებს, მაგრამ კრების საყრელ კოლოფს შემოიტანენ თუ არა კრებაში, ეს სურვილი ბევრში მაშინვე ქარწყლდება. სწორედ რიგიანად არის დაგენილი, რომ თავსმჯდომარე კრებისა უთუოდ კრების ყრით იყოს აღრჩეული და არა გამოხენილის ხმით. კრება ში დაასახელეს კანდიდატებათ: დეკ. უაგერეიშვილი, დამბაშიძე და დეკ. ბლალ. მღვდელი აბესაძე. მ. ცა-გარეიშვილმა უარი განაუხადა კრების ყრაზე. ჩანოუ-ტარეს კრები დ. დ. ლამბაშ ძეს. კრების ყრას აწარ-მოებდა დეკ. უაგერეიშვილი კრების ყრა გათვალი. დეკ. უაგერეიშვილმა გამოიღო თეთრი კრების კო-ლოფი და დადგა სტოლზე. ადგა თავის ადგილიდამ მოუარა სტოლს იმ კუთხიდამ, საიდამაც დეპუტატები კრების ყრიდენ კოლოფში და დათვალა თეთრი კრები. თეთრი კრების გამოვიდა უმეტესობა. მოაბრუნა კო-ლოფი. მობრუნებულ კოლოფს შავი კრების კო-ლოფი დაუჯგა თეთრის ადგილას. გამოუხადა კრე-ბის, რომ ის შეცდა, იმან პირებელად შავი კრების კოლოფი გამოიღო და არა თეთრის. დეკ. ლამბა-

შიძემ მოახსენა მ. ცაგარეიშვილს, რომ ის თავის ადგილს არ უნდა მოშორებოდა, ვინაიდგან მან შეაბრუნა კოლოფი, ამისთვის შავი კენჭის კოლოფი ეწვენება მას თეთრი კენჭის კოლოფის ადგილას.

დეკ. ცაგარეიშვილმა გამოუტადა კრებას, რომ კენჭი ჩამოუტარონ თავს მჯდომარეობაზედ მ. აბესაძეს. დაიწყეს კენჭის ყრა. დათვალეს კენჭი და აღმოჩნდა, რომ ეს დასახელებული კანიდატი გააშავეს. შეიქნა ლპარაკი პირველი კენჭის ყრის შესახებ. მოიხსენებ მ. ცაგარეიშვილმა ხელახლა კენჭის ყრა ლაშმაში-ძეზედ. დაშბაშიძე არ თანხმდებოდა კენჭის ყრაზედ, მაგრამ სამღვდელოების თხოვნაზედ დათანხმდა. ყა-რეს ხელახლა კენჭი და მაშინ ყველანი დარწმუნდენ, რომ პირველადაც კენჭის ყრა წესიერი და როგონი იყო, რომ კოლოფი არ შეეძრუნებიათ. ისევე ერთობრად უმეტესობაშ აირჩია იგი თავს მჯდომარედ. ეს აშშავი ჩვენ მოვცვავს აქ არა იმიტომ, რომ იგი რამეთი შესანიშნავი იყოს, არა ჩვენ მხოლოდ ის გვაკირებს, რომ 1867 წლიდამ დღემდის კიდევ ვერ შეუსწავლიათ ზოგიერთებს სამღვდელოების კრების წესები და შეცდომა მოსდით, რომლითაც უსიამოვნობა ითესება ტყუილ უბრალოდ.

საქმის მწარმოებელად ერთხმად იქმნა აღრჩეული მღვდელი ი. ჩიხლაძე. შედგენილი სიგელი წარუდინეს დასამტკიცებლად მღვდელ-მთავარს, რომელმანც კიდევ დამტკიცა. კრება მეორე დღის დილის 9 საათამდე გადაიდა.

26 წოებერს, დილის 9 საათზედ შეიკრიბნენ დეპუტატები. სხდომ ს გახსნის შემდეგ თავს მჯდომარემ წაუითხა კრებას ყველა წინადადება სხდომის განსაჯელად და გარდასაწყეტად გარდაცემული. ყველა ამ წინადადებათა შორის საყურადღებო იყო დარჩება სამღვდელოების ემერიტალური კასისა იმერთის ეპარქიაში და სასულიერო სასწავლებლის მომვალი წლის ხარჯთა-აღრიცხვის (CM წTA) განხილვა.

12 საათზედ კრებაში შემობრძანდა ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი. ჩვეულებრივად მისცა დეპუტატებს დარიგება მათი მოვალეობის აღსრულების შესახებ. გააფრთხილა იკინი, რომ ყოვლის ღონისძიებით ეცადონ სამრეკლო სკოლების გაერცელებას და პატარა ბავშვების აღზრდას. შემდეგ უთხრა დეპუტატებს, რომ ამა კრებაზედ ექნებათ მათ მსჯელობა სამღვდელოების ემირიტალური კასის დარჩებაზედ. კეთილი და კარგი საქმეა

ეს დაწესებულება და დაარსეთ თქვენცო. 『მართალია რესეტში ორიოდე ადგილის, ბრძანა მათმა მეუფებამ, ცუდათ წავიდა ემირიტალური კასის საქმე და ეკონებ კიდევ დახურებს იგი, მაგრამ, იმედია, რომ აქ არ იქნება ესა და კარგად წავა საქმე. მე უნდა გა-მოგიცარით ეხლავე თქვენ, რომ თუ დიდი სარგებლობა არ იქნება, ზარალი არაფერს შემთხვევაში არ გექნებათ და არ იფიქროთ, რომ ვითომ თქვენგან შეტანილი ფულები შეჭამოს ვინმემ, ან ბოროტად დახარჯოს». შემდევ ყოვლად სამღვდელო თავის ბი-ნაზედ წაბრძანდა და დეპუტატები საქმის მსჯელობას შეუდგნენ.

სამღვდელოებისათვის ემერიტალური კასის და-არსების კითხვა პირველი არ არის იმერეთის სამღვ-დელოებაში. 1885 წელში, ოკტომბრის თვეში სამღვდელოების კრებაზედ აღიძრა კითხვა ამ კასის დაარსების შესახებ ნ. ტატიშვილისაგან, რომელიც იმ დროს სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად იყო და ამ კითხვის აღძერას თავის მხრით ახალი ამერიკის აღმოჩენად სთელიდა და ფიქრობდა თავის სახელის საუკუნოდ ისტორიაში დატევებას და და-წერას ოქროს ასოებით.

ამ დროს სამღვდელოებას ჰქონდა ერთი 28,000 მანეთამდე შეეროვნილი სასულიერო სემინარიის გასახს-ნელია ქუთასიში. რადგან სემინარია არ გაიხსნა, ბ. ტატიშვილს ამ 28,000 მანეთის გადადება სურდა ემირიტურის დასახასებლად, მაგრამ ამაზე სამღვდე-ლოება არ დათამხდა. მაშინ დეკ. დავით ღამიაშიძე გამოაცხადა, რომ ემირიტურის დაარსება არ შეუძლია იმ სამღვდელოებას, რომელსაც შეიღების გა-მოზრდაც არ შეუძლია და ოთხ-კლასიანი სასწავ-ლებელიც რეგისტრაცია ეკვივა მოუშართავს. საქალებო სასწავლებელზე ხომ სულ სსენება არ იყო იმ დროს. კარგი რჩევა მიეცა სამღვდელოებას მისგანვე ამ ფულების მოხმარების შესახებ, მაგრამ ტა-მა ეს არ ისმინა და ფულები სამღვდელოებას უკან დაებრუნა.

1890 წელში სამღვდელოების ერთ ყრილობა-ზედ ორიოდე დეპუტატმა განაცხადა, რომ დაარსებულიყო შემახველ-გამსესხებელი კასა სამღვდელოებისათვის. ამავე დროს ბ. ლ-კიბაშვილმა აღმრა კითხვა, რომ ქუთასიში საკრებულო ტაძართან დაარსებულიყო საეკლესიო ნიკორების საწყობი იმის მსგავსად, როგორიც გამართა დეკ. დამბაშიძე ყვირილის ეკკლესიასთანო. კრე-ლური კასის დაარსებაზედ. კეთილი და კარგი საქმეა

შემნახველ-გამსესხებელი კასის წესდების შედეგია დაავალა იმერეთის ეპარქიის კანცელარიის მღვიმის ე. ს. თუთბერიძეს და საეკლესიო ნიეთების საწყობის დაარსების საქმე მიენდო კათედრის დეკანოზის და ამავე ეკვლესის თრიოდე მღვდელს და სტარისტას. საეკლესიო ნიეთების საწყობისათვის კარგი შეაფი დამზადეს, მაგრამ ნიეთები ჯერაც არ მოუტანიათ და არც იმედია, როგორც ვორნებთ, რომ მოიტანონ და თავისით ხომ ნიეთები არ მოელენ მოსკოვიდამ. ბ. ე. ს. თუთბერიძემ შემნახველ-გამსესხებელი კასის წესდების მაგიერ სამღვდელოებას წარიუდგინა ემირიტურის კასის წესდების პროექტი. წარსულ წელში ზოგიერთმა დეპუტატებმა განაცხადეს სურვილი, რომ ეს წესდება გაზეთში დაბეჭდილი და ყველას თავისი აზრი გამოცხადებინა ამ წესდების შესახებ. წესდება დაიბეჭდა გაზ. «მწყემსში» და ცირკულიარული მოწერილობაც მიიღეს ბლალობინებმა, საბლალობინო მაზრის სამღვდელოების კრება წოებდინათ, ამ კრებაზე წაეკითხათ მათ სამღვდელოებისათვის ეს წესდება და იქვე შეეღინათ სიმსურველთათვის და მოწერილებიათ ხელი და ამის თანა სიები წარმოედგინათ სამღვდელოების დეპუტატთა კრებისთვის ქუთაისში. დატრიალდენ ბლალობინები, ბევრი უქადაგეს და აუხსნეს მღვდლებს, რომ გავკეთდეთ, თუ ემირიტური კასა დავარსეთ, ყველას შეგვიძლია 400 მანეთი პენსია მივღოთ თავის დროზე, თუ წელიწადში 60 მ. შევიტანთ. მაგრამ ბევრან მღვდლებმა მაინც არ შეგონეს. ყველა იძახოდა: «ფულები არა გვაქვსო». იმერეთში 18 საბლალობინოა და 18 საბლალობინოდამ მარტო 6-დე ბლალობინმა წარმოადგინა ემირიტური კასის დაარსების მსურველ პირთა სიები. ზოგიერთ საბლალობინოში ყველას მოწერა ხელი და ზოგში მარტო ექვს-შეიდ პირს განეცხადება სურვილი ზემოხსენებული კასის დაარსების შესახებ.

კრება პირველადე შეულგა ამ ემირიტალური კასის წესდების განჩილებას. ბლალ. მ. ი. წერეთერმა სთხოვა თავსმეჯდომარება, რომ მთლად წაეკითხათ ეს წესდება და განმარტებიან კრებისათვის. თავსმეჯდომარემ გამოაცხადა, რომ სხენებული წესდება წაკონსული აქვს სამღვდელოებას გაზ. თში და ეპარქიალური კანცელარის ცირკულიარული მიწერალობის ძლით განმარტებულიც არის თითოეულს საბლა-

ლობინო მაზრაში სამღვდელოების კრებაზე თვითონ ბლალობინებისაგან და თუ კიდევ საჭიროებს კრება ამ წესდების წაკითხებას და განმარტებას, მაშინ მე ესთხოვ თერთონ ამ წესდების შემადგენელს ბ. ე. ს. თუთბერიძეს, რომელიც აქვ ბრძანდება, წაუკითხოს და განუმარტოს კრებას ეს წესდება. ბ. თუთბერიძემ წაუკითხა ეს წესდება კრებას და ბოლოს დეპუტატებს მიმართა შემდევი სიტყვით:

«მამანა დეპუტატი! თუ გზის დამაკავეთ თქვენ, რომ შემედგინა თქვენთვის წესდება ემირიტალური კასისა. წასულის წელში მე წავიკითხე ეს შედგენადი წესდება სამღვდელოების დეპუტატების კრებაზე, მაგრამ მაშინ თქვენ თხოვთ, რომ ეს წესდება დამაკავეთ გაზეთში და ამით უკელას შექვებოდა გამოცხადებინა თავისი აზრი ამ წესდების სიკარგებას და ნაკადულებებისაზე. ჩვენ მივიღეთ თავზე შრომა, შევადგინეთ ეს ემირიტალური კასის წესდება და კადეც დავისტებინათ გაზეთში. ამ წესდებაში იქნება ზოგიერთი პარაგანითები არ მოსწოდეს გისმებს, მაგრამ მე გიღეც შევცავ და ამ შეცვლილ პარაგანითებს ეხლავ წიგვიათსაკთ თქვენ და როგორც თქვენ მიღიანებთ, ისე შეცვლით (კითხულობს სელისფაზ გასწორებულს პარაგანითები). ზოგიერთება ამბობენ, რომ არა არას განკარგინა არაფერი იქნებათ. შემცდარი არის ეს აზრი. ემირიტალური კასის დასაქმება ასაფი არ არის. რესეტში, მოვალე ეპარქებში, დიდი ხანა, რაც ასებითის ამისთანა გასები და ბეჭრი იღებს საშეალებას. ამ დაწესებულების წელითი. წინეთ ამისთანა გასის წესდების უმაღლესად მტკაცდებოდა, მაგრამ ერთ დროს ჭირო ამისთანა გასის წესდებათ დამტკაცება მანიქტბული ექს უწმ. სახლდეს. თუ თქვენ მიღებთ ამ წესდებას, მაშინ იგი წარდგინდება უწმ. სიჩოდეში დასამტკაცებულად და საჭმე გათავდება და დაიწება რაგისამებრ. მე თქვენი წმინდადებისამებრ ბეჭრი ვამოროვ, ბეჭრი გეცადე ამ წესდების შეგვენისა და სარელი იმედი ძაჭვს, რომ თქვენ ამ წესდების მდგრაზე უას არ იტყვით. თუ თქვენ ეს წესდება არ მიღეთ და ჩემი შრომა უქმდებათნინგთ, მაშინ მე თქვენსებ სხვა ართი უნდა, შეგვადინო და სსკასარად უნდა ვითვიქო. წესდება რომ კარგად არის შედგენილი, ეს სხსნს იქნდან, რომ არავის ცუდი არა გითვაბსთ რა ამ წესდებაზე არც კრიტიკა გაზეთში და კარგს კა სწორდებ ამას წინედ «გვერა». მა იქნება გასმებს ეხარბება ეს საქმე, რომ მე დავიწეუ და ჩემი სახელით არის შეგვენილი წესდება ამ გასისა

და ამსათვის არა თანაუკომისდეს ამ ტეთად საქმეს. თუ ესა, დევ იმ კაცმა მთაწეროს თავის სახელი და ჩემს სახელს სრულებით წაშლი, ღღანდ სამღედლო-ებამ ისარგებლის და იყეთილ-დღეოს და ჩემს სრულებით ამ გამოვაცხადებათ წევნის სახელს ამ შემთხვევაში. ეს ხომ ხშირი შემთხვევა არას წევნის დაზღვი. თუ კინძემ რამე საქმე დაიწყო და ითავა, იმას სხვები მორჩილებიან და ცდილობენ, რომ დაწყებული საქმე ჩაუ-შელონ მას, რადგან მათ გაუგებლად და შეუტევბლად დაიწყო კაცმა საქმე, თორემ კის რა სათქმელი აქვს იმის წინააღმდეგ, რომ სამსახურიდამ გადადგამის შემდეგ 200 და 400 მან, პერსა იღოს როგორც ფულის შემტრინა, ისე მის შემდეგ. მასმა ცოდნ-შვალმაც“.

არასოდეს არ მოხულიან სამღედლოების კრებაზედ დეპუტატებით იმდენი ბლალოჩინები, რამდენიც დაესწრო ამ კრებაზე. ყველა ამ ბლალოჩინებმა დეპუტატებმა და რამდენმამე მღედლოთავანმა ერთ ხამოდაიძახეს: «კარგია, მივიღოთ, მივიღოთ, მშვენიერად არის შედგენილი; არავის არ შევმოის უარი განაცხადოს. სხვები იძახოდენ: «არ უევიძლია, გარდახანიდით ვართ დატვირთულნი, ცოტა ჯამაგირი დავვინიშნეს და იმასაც თითქმის მთლად გარდასახადში იტოვებენ. ზოგი განაცხადებლა: «ჩევნ ჩევნმა მარწმუნებლებმა უარი გამოვეცხადეს კასის დაარსების საქმის შესახებ, და დაგვაბარეს, რომ ამ საქმეზედ არავითარი მსჯელობა არ ვიქონით. ჩევნათ რაც გერჩილსთ, ის გვიყვაით, და სხვის მაგიერად არ შეგვიძლია ხელი მოვაწეროთ რამეს“.

კრების თავსმჯდომარემ დეკ. დ. ლამბაშიძემ მოახსნა კრებას შემდეგი: „მამანო დეპუტატნო! ეს მეორედ არის კითხვა აღმრული სამღედლოებისათვის ემირიტალური კასის დაარსების შესახებ. პირველად ამ კითხვაზე, როგორც კარგად მოგეხსენებათ, მსჯელობა ჰქონდა სამღედლოებას 1885 წელში, მარგამ სამღედლოებამ უარჲო ეს კითხვა. ძლიერ მაკვირებებს ზოგიერთების აზრი და მსჯელობა. ამ საგნის მსჯელობის დროს კითხვას დაუყენებენ ასე: კარგია

ობლებმა და მქერიებმა თავის მეუღლის სამსახურის გადადგომის ან გარდაცვალების შემდეგ აიღოს წელიწადში 200 ან 400 მანეთი? და თვითონვე მიუგებენ: რასაკეირველია, კარგია, ამის წინააღმდეგი ვინ უნდა იყოსო. მე უმეტესსაც ვიტუვი; არა თუ 200 და 400 მანეთის მიღება წელიწადში პენსიათ, რამედ უკეთესი იქნება 200 და 400 მანეთის მაგიერ 800 და 1000 მ. იღებდენ მოხუცებული მღვდლები და მათ მქერიე და ობლები, მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, თუ როგორ მოახერხოს ეს კაცმა და როგორ მიიყვანოს საქმე იქადის, რომ ასე გაბედნიერდენ სამსახურიდამ გადადგომის შემდეგ მღვდლები, ხოლო მათი სიკედილის შემდეგ მათი მქერიე და ობლები. მე არ მჯერა, რომ არა თუ მღვდლებში არამედ ყრუ გლეხებშიაც აღმოჩნდეს ვინმე დღეს ისეთი უვნური, რომ არ მოვიგოს ამ თქვენს კითხვაზედ: დიალ, ძლიერ კარგი იქნება, თუ მოხუცებული მღვდლი, გადამღვარი სამსახურიდგან, 400 მანეთს პენსიას მიიღებს, ან მისი მქერიე და ობლები. ამ კასაზედ ზოგიერთების მსჯელობა ერთის მხრით უნებლივით მომავრნებს ერთ სომხის ვიღაცა ეპისკოპოსს, რომელმაც 5-დე ათასი მანეთის შეწირვა განიზრასა იმ პირობით, რომ ეს ფული ესარგებლებიათ 200 წლის განმამავლობაში. ამ პირის გამოანგარიშებით ეს 5000 მანეთი თავისი სარგებლებით და სარგებლის სარგებლებით და «ნეუსტონიკებით» 200 წ. შემდეგ ას მილიონად იქცევა და მაშინ ამ უუღებით სომხებისათვის დაარსეთ უნივერსიტეტები, აკადემიები და ლარიბი ხალხიც არჩინეთო, საქმე თქმა კი არ არის ამ შემთხვევაში, არამედ მისი სისრულეში მოვანაა. პეტერბურლის, მოსკოვის და სამხედრო წილების სამღედლოებას რომ ემირიტურა ჰქონდეს, ეს იმას არ ნიშნავს და არ ამტკიცებს, რომ იმერეთის სამღედლოებასაც შეუძლია დაარსოს ესეთი კასა. მიიყვანეთ იმ მდგომარეობამდინ ჩევნი სამღედლოება, რა მდგომარეობაშიაც არის ზემოხსნებული ქალაქების სამღედლოება და დარწმუნებული იყავით, რომ მაშინ აქც აღვილი შესაძლებელი იქნება კასის დაარ-

სება. სამღვდელოება ძლიერს შოეობს სიმიღის სასკი-  
დელს ფულს, შეილი ვერ გამოუჩრდია სასწავლე-  
ბელში, მთელს ეპარქიაში 1 ოთხ-კლასიანი სასწავ-  
ლებლის მეტი არა გააჩნიარა, 30 ლარიბი შეგირდი  
ყავს პანსიონში და იმის დახურვას ფიქრობს შეუ-  
ლებლობისა გამო, ანაფორა ვერ ყუიღია რიგინი,  
ყოველ სამღვდელოების კრებაზე ერთი უბედურება  
არის, რომ კაცები ვერ მოუნახავთ სამღვდელოებაში  
სასწავლებლის სამმართველოში თავისი მხრით წევ-  
რებად დანიშნოს, სასწავლებლის შესანახავად ძლიერ-  
ძლიობით შემოაქება თავის საკუთრებიუად 6000 მა-  
ნებადმდე და იმასაც ჯამაგირებიდან უჭერენ დღეს, თო-  
რემწინეთ თითოეულ ბლალოჩინზედ ვალად (ნედომ-  
კად) ითვლებოდა ორ-სამ წლიაბით ეს გარდასახადი და  
ამისთანა სამღვდელოებაში ემირიტურის კასის დაარ-  
სება და 60 მანეთობით თითოეული მღვდლისაგან  
ფულის შემოტანა სწორეთ მე რაღაცა მოუხერხებელ  
საქმედ მიმაჩნია. მართალია, აქ ზოგიერთი ახალ-  
გაზღვა ბლალოჩინნი—დეპუტატები ბეჭრს ლაპარაკობენ  
ამ კასის დაარსების შესახებ, მაგრამ მათი მსჯელობა  
უფრო დამყარებულია სხვა რაღაცა პირად განზრახ-  
ვათა ზედა და მოკლებულია რიგინად საქმის დაკ-  
ვირებას. საქმე ის კი არ არის, მარტო ორიოდე  
დეპუტატმა ილაპარაკოს, საქმე ის არის, მთელმა სამღვ-  
დელოებამ ან მისმა ორმა წალმა მოინდომოს. ჩვენ  
აკერ გვიდეს სიები, წარმოდგენილნი ბლალოჩინებისა-  
გან; ერ განაცხადა სურვალი და ვინ არა, ამ სიე-  
ბიდამ ცხადათ სჩანა. არა თუ ორს წილს, არამედ  
მესამედსაც არ უსურეია და არ უსურეია იმიტომ,  
რომ სილარიბისა გამო არ შეგვიძლია ფულები შემო-  
ვიტანთო, რადგან ის გარდასახადიც ვერ შეგვიტა-  
ნია, რაც დღეს გვადეს ვალადო. ამასთან დეპუ-  
ტატებიც განაცხადებენ, რომ ჩვენმა მარწმუნებელმა  
სამღვდელოებამ არაფერი უფლება არ მოგენიჭა ამ  
საგნის შესახებ მსჯელობისათ. ამის შემდეგ სამღვდე-  
ლოებას დეპუტატების გარდაწყვეტილებასაც რა ძალა  
უნდა ექმნეს, არ ვიცით. ემირიტალური კასის დაარ-  
სება არის დამოკიდებული მისი წევრების სრულს

ნებაყოფლობაზედ, სურს შემოიტანს ფულს და არ  
სურს, რა ძალა გაქვს, რომ ფული გარდააზევინო?  
1 თვის განმავლობაში გარდახდება ცოტა ამ ჯა-  
რიმა ფულის შემოუფანლობისათვის, მეორე შიაც  
ცოტა მეტი და შემდეგ გამორიცხული იქნება მონა-  
წილეობისაგან და გათავდა. სხვა რა ღონე აქვს გამ-  
გობას? ამ სიტყვებს რომ მოგახსენებთ, ის დასკვნა  
